პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 აპრილი კვირა 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 78 (15291)

2 აპრილი გეოლოგის დღეა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ბოლნისის საძიებო დაზვერვითი პარტია 25 წელზე მეტია აწარმოებს სამუშაოებს ბოლნისის რაიონში ფერადი ლითონების საბადოთა გამოსავლინებლად. ამ წლების მანძილზე საქართველოს გეოლოგთა შრომა დიდი წარმატებით დაგვირგვინდა — მათ გამოავლინეს და ხაექსპლოატაციოდ გადასცეს უმდიდრესი სპილენძ-ბარიტპოლიმეტალური საბადო მადნეულში.

სურათებზე: ქვემოთ ბოლნისის საძიებო-დაზვერვითი პარტიის მბურღავთა მოწინავე ბრიგადა, რომელიც თვიურ დავალებებს 150-160 პროცენტით ასრულებს. მარცხნიდან მარჯვნივ — ზ. თიკანაშვილი, უბნის უფროსი დ. ჩუმაშვილი, ცვლის ოსტატი პ. კადაცკი, ბურღვის ოსტატის თანაშემწე თ. ფუხაევი და ტრაქტორისტი გ. მესროპოვი; მარჯვნივ — დაზვერვის საბურღი კოშკური ბოლნისის რაიონის ერთ-ერთ უბანზე.

პ. ჩერკასოვის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის დიდი დღესასწაული

15 აპრილი კომუნისტური შაბათოგის დღე

სულ უფრო ახლოვდება ლენინსასწაულიანი აპრილის შაბათი. საბჭოთა ადამიანები ემზადებიან ეს დღე გადააქციონ შრომის დიდ დღესასწაულად, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს და ვ. ი. ლენინის დაბადების 102 წლისთავს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ წერილებს იმის შესახებ, თუ რას გააკეთებენ ბათუმის, ბიათურისა და ტყიბულის საწარმოები, მაღაროები და შახტები 15 აპრილს — კომუნისტური შაბათოგის დღეს.

ბათუმის მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოველთა ინიციატივას — ვ. ი. ლენინის დაბადების 102-ე წლისთავისა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად 15 აპრილს მოაწყონ მასობრივი კომუნისტური შაბათობა.

საწარმო-დაწესებულებებში შეიქმნა კომისიები, საერთო კრებებზე დასახეს კონკრეტული ღონისძიებები. მაგალითად, ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობბაზის კოლექტივმა გადაწყვიტა ზუთწლედის ფონდში გადარიცხოს შაბათობაზე გამომუშავებული 700 მანეთი, ხოლო ვახტისაგან თავისუფალი შუშა-მოსამსახურეები თავიანთი ოჯახის წევრებით გამოვლენ მენავთობეთა დაბისა და ქუჩების კეთილმოსაწყობად სკვერების და ხეივნების ახალი ნარგავების შეფმატება.

ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა შაბათობასთან დაკავშირებით იკისრა 15 აპრილს გამოიმუშაოს და ხუთწლედის ფონდში გადარიცხოს 1,800 მანეთი.

ქალაქის სხვა საწარმოებმაც იკისრეს ვალდებულებები შრომის დიდი დღესასწაულის — კომუნისტური შაბათობის ორგანიზებულად, მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის, შეიმუშავეს კონკრეტული გეგმები და ემზადებიან მათი შესრულებისათვის.

ქიათურის მარგანეცის ტრესტის მაღაროთა სამმართველოებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოების მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მოსკოვის მშრომელთა თაოსნობას, რომ მიმდინარე წლის 15 აპრილს მოეწყოს შაბათობა. მაღაროელები ერთიანი სულისკვეთებით ემზადებიან ლენინური შაბათობის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

ჩატარდა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კრებები. მაღაროებში შეიმუშავეს ღონისძიებანი, თუ კინრა სამუშაოს შეასრულებს 1972 წლის 15 აპრილს, კინ იმუშავებს ძირითად და კეთილმოწყობის სამუშაოებზე. წინასწარ შემუშავებული საორგანიზაციო გეგმის მიხედვით ლენინურ შაბათობაზე გამოვა 5.490 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე. აქედან ძირითად სამუშაოს შეასრულებს 4.325 მუშა, ისინი დაამზადებენ 3.994 ტონა საერთო სასაქონლო მარგანეცს; წარმოების ტერიტორიის კეთილმოწყობაზე იმუშავებს 1.165 მუშა-მოსამსახურე.

ხუთწლედის ფონდში სულ ჩაირიცხება 19.548 მანეთი.

ყიბულის შახტებში და მსხვილ წარმოება-დაწესებულებებში ქმნიან სპეციალურ შტაბებს, წინასწარ იმარაგებენ სამუშაო იარაღებსა და საჭირო მასალებს, აწესტებენ იმ მოქალაქეთა სიებს, რომლებსაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ შრომის დღესასწაულში.

ქალაქის ყველაზე მძლავრი სამთო საწარმოს — ლენინის სახელობის შახტა-მუშა-მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს შაბათობის დღეს ამოიღონ 1.750 ტონა საკოსე ქვანახშირი და გამომუშავებული თანხა მთლიანად შეიტანონ ხუთწლედის ფონდში. ორჯონიკიძის სახელობის შახტიდან შაბათობაში 700 კაცი მიიღებს მონაწილეობას. აქ სათბობის მოპოვების პარალელურად მუშა-მოსამსახურეები წესრიგში მოიყვანენ სამთო გამონამუშევრებს, სანიმუშო სისუფთავეს დაამყარებენ მიწისქვეშა ჰორიზონტებზე, დარგავენ მარადმწვანე მცენარეებს; ორჯონიკიძელებს განზრახული აქვთ ხუთწლედის ფონდში 4.000 მანეთი შეიტანონ.

ამ დღეს იმუშავებს სტალინის სახელობის შახტის 5 უბანი, 14 ცვლა და მეშახტეთა 12 კომპლექსური ბრიგადა, ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კომუნისტური შრომის ბრიგადები შეიკეთებენ ათეულობით საშახტო დანადგარს.

შრომითი დღესასწაულის შესასვენებლად დიდი მზადება გააჩაღეს ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის ტყიბულშახტმშენის სამმართველო ოს, გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის და რკინიგზის სადგურის კოლექტივებმა.

ზვეერავენ ახალ საბალოებს



ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა ბანგლადეშის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 31 მარტს კრემლში მიიღო ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრი მ. რ. სიდიკი, რომელიც მოსკოვში იმყოფება სსრ კავშირსა და ბანგლადეშს შორის სავაჭრო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა განიხილეს ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების მთელი რიგი საკითხები, მათ შორის ვაჭრობის შემდგომი განვითარების საკითხები.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში შ. რაჰმანი.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

31 მარტს მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციათა სავაჭრო მოლაპარაკება. მოლაპარაკების შედეგად, რომელმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას ორ ქვეყანას შორის.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობის დავალებით — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა, ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დავალებით — საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრმა მ. რ. სიდიკიმ. (საკდესი).

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კიევი, 31 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ XXIV ყრილობის, აგრეთვე უკრაინის კომპარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის პარტიის ჟოროშილოვგრადისა და ჩერკასის საოლქო კომიტეტების ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის საკითხი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ე. შელესტმა.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირი

მოსკოვში გაიმართა ჟურნალისტთა რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ორგანიზაციების გამგეობათა მდივნების თათბირი, რომელმაც განიხილა ჟურნალისტთა ორგანიზაციების ამოცანები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისთვის მზადებასთან დაკავშირებით.

თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მზადების გამოცდილება და მუშაობის გეგმები, ილაპარაკეს, თუ როგორ მონაწილეობენ ჟურნალისტთა ორგანიზაციები მეცხრე ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს მშენებლობათა შეფობაში. იმსჯელეს ჟურნალისტთა კავშირის შემოქმედებითი საქმიანობის აქტუალურ საკითხებზე, აგრეთვე მოისმინეს მოხსენებანი თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიური პოლიტიკისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. (საკდესი).

სახალხო განათლება, მეცნიერება და კულტურა ციფრებში

გამოცემლობა „სტატისტიკამ“ გამოუშვა სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მომზადებული სტატისტიკური კრებული „სსრ კავშირის სახალხო განათლება, მეცნიერება და კულტურა“.

კრებული შეიცავს მონაცემებს, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობას.

კრებულში შეჯამებულია სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ცალკეული ქვეყნების კულტურის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები.

თათბირ-სემინარი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

28-31 მარტს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებათა გამგეების თათბირ-სემინარი, რომელმაც განიხილა ისეთი საკითხები, როგორიც არის სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, თავდაცვითი-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ნ. ი. სავინკინმა. თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს პარტიული მუშაობის გამოცდილება განხილული საკითხების დარგში. თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა რ. ა. რუდენკომ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. ა. შჩოლოკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. თ. გორკინმა, სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა გ. ა. ტერებილოვმა, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ვ. გ. კულიკოვმა, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა ა. ა. ეპიშევმა, სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ი. პოკრიშკინმა, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. გ. არუთინიანმა და სხვებმა.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოების, მთელი რიგ სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებელი მუშაკები, იერარქიულ სამეცნიერო დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენლები.

დასასრულ თათბირ-სემინარზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. თ. უსტინოვმა.

ზეიმობენ გეოლოგები

ნავთობის, გაზის, ქვანახშირის, რკინის მადნისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის ახალი ახალი საბადო დაზვერეს და გადასცეს ხაექსპლოატაციოდ გასულ წელს ჩვენი ქვეყნის გეოლოგებმა. ასეთივე ნაყოფიერი იქნება ახალი საძიებო სეზონი. ეს განაცხადა სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრმა აკადემიკოსმა ა. ვ. სიდორენკომ გეოლოგიის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე, რომელიც 31 მარტს გაიმართა მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

(საკდესის კორ.).

მოსკოვი.

დროშები საუკეთესოებს

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის, შემოსავლისა და რენტაბელობის გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდის მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

შეჯიბრებაში გაიმარჯვა 660 კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმომ და ორგანიზაციამ. მათ მიენიჭათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები, აგრეთვე ფულადი პრემიები.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის

საბჭოთა ხალხის ერთიანობა

ლენინიზმი ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ პრესისათვის მომზადებული კაპიტალური ნაშრომი „ლენინიზმი და ეროვნული საკითხი თანამედროვე პირობებში“. ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილ წიგნში (ხელმძღვანელი აკადემიკოსი პ. ნ. ფედოსეევი) გაშუქებულია, თუ რა მნიშვნელობა აქვს თანამედროვეობისათვის ერისა და ეროვნული ურთიერთობის ლენინურ თეორიას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის არსს, მის დაპირისპირებულობას ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მიმართ. ავტორები მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ ერთა და ეროვნებათა განვითარების საერთო კანონზომიერებებსა და ისტორიული სპეციფიკის ანალიზს სოციალიზმის დროს, სოციალისტური პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის პირობებისა და ამოცანების განხილვას.

ამავე გამომცემლობამ გამოუშვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ვ. მ. შაპკოს წიგნი „კავშირი ნანდვარი საუკუნისა“. წიგნში გაშუქებულია სსრ კავშირის შექმნისა და განვითარების მომენტები, თუ როგორ შეიქმნა ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ოქტომბრის შემდეგ პირობები ხალხთა ჭეშმარიტი თანასწორობისათვის, მათი თავისუფალი განვითარებისათვის ერთიან მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოში.

ამ წიგნებით პოლიტიკურმა გამომცემლობამ დაიწყო ლიტერატურის გამოშვება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის. იბეჭდება ვ. ი. კასიანენკოს „მონოგრაფია „სსრ კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობის მობოვება“. აქ შეკრებილი და განზოგადებულია მასალები, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა სახელმწიფოს, კომუნისტურ პარტიას, პირადად ვ. ი. ლენინს საქმიანობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და წიაღისეულსანდლეულო ბაზის უპირველესი განვითარებისათვის.

გამოსაცემად მზადდება „დიადი ერთიანობა“, რომელიც დაწერეს ისტორიკოსებმა ა. ვ. ლიზოლატმა და დ. ა. ზუბკოვმა.

გათვალისწინებულია დოკუმენტების კრებულის „ხალხთა საბჭოთა თანამეგობრობის“ გამოცემა. საბჭოთა მთავრობის დეკრეტები და ხელშეკრულებანი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, საბჭოების ყრილობების რეზოლუციები, კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებანი, დებატები, წერილები, ცენტრალური და ადგილობრივი პრესის მასალები გვიამბობენ, თუ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შექმნის პირველი დღეებიდან როგორ დაიწყო საბჭოთა რუსეთის ხალხების ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა, როგორ იწრთობოდა მათი ერთიანობა, იქმნებოდა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. დოკუმენტები ასახავენ, თუ როგორ მტკიცდებოდა საბჭოთა ხალხების მეგობრობა კომუნისტური პარტიისა და ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით.

გამომცემლობის გეგმაშია წიგნები „საბჭოთა ხალხი — ახალი ისტორიული ერთობა“, „მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო“. გამოვა ჯიბის ფორმატის წიგნი, რომელშიც მკითხველი ნახავს ძირითად დოკუმენტებს სსრ კავშირის შექმნის შესახებ. მზადდება დასურათებული პოლიტიკურ-ეკონომიური კითხვარი „თანასწორთა კავშირი“, რომელიც შეიცავს სტატიებს თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის შესახებ, გამოფენას პლაკატებში „ულოდველი კავშირი“. (საკდესის კორ.).

ჩაის კვირეული გრძელდება

გიწვევთ ჩაის კონკურსზე

ყოველ წელიწადს ახალი ღონისძიებებით მდიდრდება ჩაის კვირეული — ეს ტრადიციული დღესასწაული. წელს მან განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. ვაჭრობის სამინისტროს, კვების მრეწველობის სამინისტროს ორგანიზაციებთან ერთად მისი პოპულარიზაციის საქმეს შეუერთდნენ ცეკავშირის ორგანიზაციებიც.

— სპეციალურმა კომისიამ, რომელიც ჩაის კვირეულის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის გამოაყო „საქჩაის“ ტრესტის ხელმძღვანელობამ, დიდი მოსამზადებელი სამუშაოები განახორციელა, — თქვა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში ტრესტ „საქჩაის“ მმართველმა რ. ხუშრიამ. — მაგალითად, ჩაის ფაბრიკის დირექტორებს ჯერ კიდევ ადრე დავალება მივეცათ ადგილობრივი სავაჭრო და სახოგადოებრივი კვების ორგანიზაციებისათვის გამოეყოთ სპეციალისტები — ტიტესტერები, ტექნოლოგები, რომლებიც დახლის მუშაკებს შეახსენებენ ჩაის დაყენების, შენახვის, ხმარების წესებს. ამ სპეციალისტებმა არაერთი სემინარი ჩაატარეს, და, ახლაც, კვირეულის დღეებშიც, განაგრძობენ თავიანთ საქმეს. თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებში საკონსულტაციოდ მიეწვეა ცენტრალური აპარატისა და შემფასებელი ბიუროს სპეციალისტები. თბილისის ჩაის საწონმა ფაბრიკამ სავაჭრო ორგანიზაციები მოამარაგა სხვადასხვა ასორტიმენტის ჩაით.

ჩაის კვირეულის მომწყობმა კომისიამ ვრცელი პროგრამა დასახა, რომ ღონისძიება მარტო ჩაის სმით არ შემოფარგლულიყო. ყველგან, სადაც კი ჩაის ზეიმი იმართება, ჩაის დეგუსტაციასთან ერთად ფართო მსჯელობის საგანი ხდება ამ სასმელის სასარგებლო თვისებები, მისი ხმარების წესები. ჩვენი აზრით, ამგვარი სემინარები ამაღლებს სავაჭრო დარგის მუშაკების ცოდნას ჩაის შესახებ, ასწავლის მათ ჩაის დაყენების საიდუმლოებას, რომ მომავალში მომსმარებელი უფრო კმაყოფილი იყოს.

ჩაის კვირეულის ცენტრში დგას თბილისის ჩაის სახლი, სადაც ჩაის შესახებ ფართო მსჯელობა მიმდინარეობს. აქ იკრიბებიან და საუბრობენ არა მარტო ჩაის მომსმარებლები, არამედ ისეთი სპეციალისტებიც, რომლებიც მეცნიერულად იკვლევენ ჩაის წარმოების საკითხებს, „სიცოცხლის ელექსირის“ სასარგებლო თვისებებს, იძართება მასობრივი დეგუსტაციები და სხვ.

წლევანდელ ჩაის ზეიმს ერთი სიახლეც აქვს, მოეწყობა კონკურსი, მასში ჩაბმული არიან საქართველოს საუკეთესო ჩაის ფაბრიკების კოლექტივები, რომლებმაც შარშან გამოუშვეს საუკეთესო ხარისხის „საქართველოს თაიგული“, „ექსტრა“, და მწვანე ბაიხო ჩაი. თუ ვისი პროდუქცია იყო მართლაც საუკეთესო, ამას სპეციალური ჟიური გამოავლენს. გამარჯვებულთა დაჯილდოება მოხდება ჩაის კვირეულის საზეიმოდ დახურვის დღეს — 2 აპრილს.

ამ კონკურსს გადასცემს საქართველოს ტელევიზიაც. მასში შეგიძლიათ თქვენც მიიღოთ მონაწილეობა, ძვირფასო მკითხველებო!

საქდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოს-482“

1972 წლის 31 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-482“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაუვანილია ელიფსურ ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 201,4 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 9813 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 210 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 52 გრადუსი.

სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის: რადიოსხივებმა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოისმინეს მთავრობის კომისიის მოხსენება მინსკის რადიოქარხნის ბუდეთა საამქროში მომხდარი ავარიის მიზეზებისა და გარემოებათა გამოძიების შესახებ და მიიღეს დადგენილება ამ საკითხზე.

კომისიამ გამოარკვია, რომ ავარია მოხდა საამქროს ავტომატიზაციო სისტემის დაპროექტებისას დაშვებული შეცდომების, აგრეთვე მისი ექსპლოატაციის დროს უსაშიშროების ტექნიკის წესების დაცვისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგად.

ლენინგრადის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი ვ. ვ. ნიკიტინი და მინსკის რადიოქარხნის დირექტორი ლ. გ. ზახარენკო მოვალეობის შესრულებისადმი დანაშაულებრივ-გულგრილი დამოკიდებულებისათვის მოხსნილ იქნენ სამუშაოდან და გაირიცხნენ პარტიიდან. რადიომრეწველობის სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი ე. ი. საქსი მოხსნილ იქნა სამუშაოდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

მინისტრის მოადგილეს ვ. ე. ნემცოვს იმისათვის, რომ ნაკლოვანებანი ჰქონდა ხელმძღვანელობაში, არ ახორციელებდა ჯეროვან ღონისძიებებს ქარხნის საწარმოო საქმიანობისადმი და შრომის უსაშიშროების პირობების ორგანიზაციის კონტროლის უზრუნველსაყოფად, გამოეცხადა საყვედური, ხოლო მინისტრის მოადგილეს ნ. გ. ფედოროვს — გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომებისათვის, სახელმწიფო დისციპლინის შეუსრულებისა და კადრებისადმი მომთხოვნელობის შემცირებისათვის რადიომრეწველობის მინისტრს ვ. დ. კალმიკოვს გამოეცხადა საყვედური.

პროკურატურის ორგანოები იძიებენ საქმეს, რათა დანაშაული მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

2 აპრილი გეოლოგის დღეა

წიაღის მეზვერავები

ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკა ინდუსტრიულ სახელმწიფოდ იქცა. ამაში გეოლოგებმაც შეიტანეს თავიანთი წვლილი. სამთო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ობიექტია ჭიათურის მარგანეცის სამადნე. მხოლოდ მნიშვნელობის ამ უნიკალური საბადოს მარაგი წინათ სუსტად იყო დაზვერილი, რაც აფერხებდა არსებულ მაღაროთა რეკონსტრუქციას და მადნის მოპოვების შემდგომ ზრდას.

ამჟამად საბადოს დეტალური ძიება ძირითადად დამთავრებულია რამაც საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეზარდა და დაგვუზუსტებინა მისი მარაგი. საბადოს ძიებისას გამოვლინდა მაღალხარისხოვანი მადნების დიდი მარაგი ადრე მტაცებლურად დამუშავებულ მოედნებზე მათი ექსპლოატაცია კვლავ გახდა შესაძლებელი. ამ გეოლოგიურ სამუშაოთა ეფექტი მეტად დიდია, რადგან ხიცოცხლეს უხანგრძლივებს ჭიათურის მაღაროებს, რომელთა მარაგი საბადოს ინტენსიური და ხანგრძლივი დამუშავების გამო მკვეთრად მცირდება. გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები კვლავაც იწარმოებს ჭიათურის მახლობელ რაიონებში ახალი მარგანეცისანი მოედნების გამოვლენის მიზნით, ბოლო წლებში აღნიშნული სამუშაოები იმედის მომცემი გახდა. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მახლობლად, რომელიც ჭიათურის მადნების ერთ-ერთი ძირითადი მომხმარებელია, მეცნიერული პროგნოზის შედეგად. დაზუსტულ სტრუქტურაში, აღმოჩნდა მარგანეცშემცველი მოედნები, რომელთა მადნები ხარისხით ჭიათურისას უტოლდება.

ახალი მარგანეცის შემცველი სტრუქტურის პერსპექტივაზე საუბარი თანამედროვე ეტაპზე ერთობ ძნელია. ვნახოთ, რას გვიჩვენებს შემდგომი სამუშაოები, რაც მომდინარე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს.

ქართველ გეოლოგთა დიდ აღმოჩენად უნდა მივიჩნიოთ მადნეული ბარიტ-პოლიმეტალური და სპილენძის საბადოს გამოვლენება. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად ამჟამად მომდინარეობს მადნეული სამთო გამამდიდრებელი კომბინატის შენებლობა. კომბინატი დიდი საწარმო იქნება, გეოლოგებმა განსაზღვრეს მისი მასშტაბები. ბარიტ-პოლიმეტალური საბადოს ძიება წარმოებს აგრეთვე ი. ბაბალაშვილი. მან დამსწრეთ გააცნო ქართველი ხალხის ურთიერთობას. რადიოთი, ტელევიზიით გადაცემულ იქნა ინფორმაციები საქართველოს დღეებს შესახებ, აგრეთვე ქართული ხალხური და კლასიკური მუსიკის კონცერტები.

დიდი ინტერესით ვეცნობით ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, კვლავ, სადაც კი მივდიოართ, ლენინელთა ღიმილი და კეთილი სალამი გვხვდება. „ლასკოფო პროსიმო, შენოვნე ბრატი", — გვეუბნებიან სასეგგარწყინებელი მასპინძლები. დიდებულია ლენინის ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები, დიდების ბორცვზე მარადიული ცეცხლი ანთია. ლენინის განმათავისუფლებელი მეომრების ძმათა სასაფლაოზე სხვა მოძმე ერების წარმომადგენლებთან ერთად რაინდული ეილიით განისვენებენ გვარდიის პოლკოვნიკები ი. ქანთარია, და ს. მაღრაძე, რომელთა შენაერთებმა სამაგალითო გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს უკრაინის მიწაწყალზე. გმირთა საფლავებზე ხვავდება ყვავილების კონები.

ლენინის ოლქის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაზე გვესაუბრა უკრაინის კომპარტიის ლენინის ოლქის სალოქო კომიტეტის მდივანი ბ. ბადალკა და მშრომელთა დეპუტატების ლენინის ოლქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე თ. მარტინოვი.

გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა ლენინის ავტობუსების ქარხნის კოლექტივთან შეხვედრამ. ამ ქარხნის მარკის ავტობუსები ცნობილია მთელ ჩვენს ქვეყანაში. მეცხრე ხუთწლედში ქარხანამ 1,5-ჯერ უნდა გააფართოოს პროდუქციის გამოშვება, ამასთანავე ავტობუსი უფრო კომფორტაბელური და მძლავრი გახდება.

თავიგულებითა და გულთბილი სალამით შემოგვეგება ლენინის იზოლატორების ქარხნის კოლექტივი. ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. პროსკურინმა გვიამბო, რომ ქარხანა სულ ორი წელია ჩაგდა მწყობრში. მას დიდი პერსპექტივები აქვს, რადგან ქარხნის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიოს მრავალ სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყანაში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იზოლატორებს, რომლებიც აქ მზადდება, მაღალი ძაბვის ელექტროგადაცემებისათვის, ფაიფურის ნაცვლად მინისაგან ამზადებენ, ეს კი საშუალებას იძლევა მეტი ფაიფურო გამოვიყენოთ ჭურჭლისა და ფარფორ მოსმარების სხვა საგნების დასამზადებლად. ქარხანაში გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდა გენერალ-მაიორი ი. ბაბალაშვილი. მან დამსწრეთ გააცნო ქართველი ხალხის წვლილი დიდ სამამულო ომში, ილაპარაკა უკრაინელ და ქართველ მეომართა გმირობასა და მამაცობაზე.

ასევე ხალხმრავალი მიტინგები მოეწყო ტრიკოტაჟის ფირმაში, ღვინის ქარხანაში, სამედიცინო ინსტიტუტსა და სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში.

ჩვენმა გეოლოგებმა ათეზენთში აღმოაჩინეს, დაიძიეს და მრეწველობას ახათვისებლად გადასცეს ხინდიყის საბადო. ამჟამად მომდინარეობს მის მასლობლად მდებარე მეორე არანაკლები პერსპექტივის მქონე საბადოს ძიება. ძებნითი სამუშაოები გრძელდება აგრეთვე ახლად გამოვლინებულ სინდიყის შემცველ რაიონებში— რაჭაში, ბოლნისსა და სვანეთში.

ბოლო წლებში განსაზღვა ძებნა-ძიებითი სამუშაოები ანთიმონზე. ამჟამად ჩვენი გეოლოგები იკვლევენ რაჭის ჭგუფის საბადოებს, რომლებიც მათ შორის სამამულო ომამდე იყო აღმოჩენილი ყაბეთსა და მთათუშეთში, სადაც იმედის მომცემი პერსპექტივა იხატება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენმა ახრიბიანელმა კოლეგებმა მოსაზღვრე ბელექნის ოქროიონში დიდი სამრეწველო ხასიათის საბადო აღმოაჩინეს.

ჩვენმა გეოლოგებმა ათეზენთში აღმოაჩინეს, დაიძიეს და მრეწველობას ახათვისებლად გადასცეს ხინდიყის საბადო. ამჟამად მომდინარეობს მის მასლობლად მდებარე მეორე არანაკლები პერსპექტივის მქონე საბადოს ძიება. ძებნითი სამუშაოები გრძელდება აგრეთვე ახლად გამოვლინებულ სინდიყის შემცველ რაიონებში— რაჭაში, ბოლნისსა და სვანეთში.

ბოლო წლებში განსაზღვა ძებნა-ძიებითი სამუშაოები ანთიმონზე. ამჟამად ჩვენი გეოლოგები იკვლევენ რაჭის ჭგუფის საბადოებს, რომლებიც მათ შორის სამამულო ომამდე იყო აღმოჩენილი ყაბეთსა და მთათუშეთში, სადაც იმედის მომცემი პერსპექტივა იხატება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენმა ახრიბიანელმა კოლეგებმა მოსაზღვრე ბელექნის ოქროიონში დიდი სამრეწველო ხასიათის საბადო აღმოაჩინეს.

1967 წელს ობილისის მიდამოებში ბუნებრივი გაზის გამოვლენების დადგენის მომენტადან, გეოლოგიური ხასიათის ყურადღება მიმართულია თელეთის და მის მეზობელ სტრუქტურათა შესწავლისადმი და აღმოსავლეთ საქართველოში პერსპექტიული გაზშემცველი მოედნების დადგენისაკენ.

საქართველოს გეოლოგიის საწარმოო ხამმართველოსა და ტრესტი „საქნავთის" ერთობლივი ძალებით, შედარებით მოკლე დროში ჩატარდა დიდი სამუშაოები ლრმა ბურღვის დაწყებისა და მისი ფართოდ გაშლისათვის ხაკირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. მოუხედავად ხიძნელეებისა, გაზის მკვლევარი ექსპედიციები ნინასწარმეტყველებენ ჩვენში საწარმოო ხასიათის გაზის საბადოს აღმოჩენას.

„დიდ წარმატებას მიაღწიეს ქართველმა ქვანახშირის მკვლევარმა გეოლოგებმა. მათ მიერ აღმოჩენილი და დაძიებული საბადოების ბაზაზე ქვანახშირის მოპოვება 1940 წელთან შედარებით საქართველოში 4-ჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შორიის ქვანახშირის შემცველი მოედნის გამოვლენება, რომლის აღმოჩენა მეცნიერული პროგნოზის შედეგად მოხდა.

დიდი მასშტაბის სამუშაოები ჩატარეს ჩვენმა გეოლოგებმა ე. წ. არალითონიან მადნეულ საბადოთა გამოსავლინებლად და დასაზვერად. თავისი ხარისხით ფარფოდ არის ცნობილი საქართველოს ბარიტის ძარღვული ტიპის საბადოები, რომელთა გამოვლენა და დაძიებისათვის ქართველ გეოლოგთა დიდ ჯგუფს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა. ალუნაზეთში აღმოჩენილ იქნა კავკასიაში უდიდესი ფეშრის ბარიტის საბადო, რომლის ათვისება უახლოეს დროშია განზრახული. ბარიტის საბადოების ძებნა კვლავ გრძელდება. ჩვენმა გეოლოგებმა, მადნეულის მშენებარე ხამთო გამამდიდრებელი კომბინატის [illegible] დიდრებელი კომბინატის [illegible] ლად გამოვლინეს დიდი პერსპექტივის მქონე ბარიტ-პოლიმეტალური საბადო, რომლისგ მარაგი აღმასკომ [illegible] ეფშრის.

ჩვენი ბარიტის ძაძიებელთა უურადღებას ამჟამად მიპყრობილია აგრეთვე ჩორდის საბადოსა და ქუთაისის ჭგუფის საბადოთა ძებნა-ძიებისაკენ.

საქართველო გეოლოგიურად ძალიან ჯანსაღ ქვეყანაა. თითქმის ძირითადად დამთავრებულის პერსპექტიული რაიონების გეოლოგიური აგეგმვა, რაც საშუალებას მოგვცემს შევქმნათ საბანადო ბაზაზე პროგნოზული რუკები და უფრო სწრაფად და ეფექტურად ვეძებოთ ხასარგებლო წიაღისეულთა ხაბადოები.

საქართველოში თითქმის აღარ დარჩა ადგილი გეოლოგს ფეხი [illegible] ,,

„კომუნისტის" ფოსტიდან

● **ბათუმი.** მანქანათსამშენებლო ქარხანაში გაიმართა თეორიული კონფერენცია თემაზე „სკკპ XXIV ყრილობა და ახალი ადამიანის აღზრდა".

დამსწრეებმა ინტერესით მოისმინეს გადამდგარი პოლკოვნიკის ნ. ფირკელიძის, საზოგადოება „ცოდნის" ლექტორის დ. მეხეშიძის, ომის ვეტერანის ე. თავაძისა და სხვათა ლექციები.

ბ. ჩხაიძე.

● **ყითელწყარო.** ჯანმრთელობის დაცვის სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც ამ ორი წლის წინათ ჩამოყალიბდა, მსმენელთა სულ უფრო ფართო მასებს იკრებს თავის გარშემო.

ამ დღეებში მოეწყო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა. იგი შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა ლ. ბოსტანეფანშვილმა. საინტერესო ლექციები წაიკითხეს ექიმმა თ. კოდიაშვილმა, შ. ფალავაშვილმა, ე. ჯალიაშვილმა.

ვ. სიხარულიძე.

● **ტყიბული.** ,,ბაგი ხაჩუქარი მიიღეს საწირის კოლმეურნეობის პროდუქციული პირუტყვის ფერმის მუშაკებმა — მათთვის აშენდა და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა კაპიტალური ორსართულიანი ხახლი.

პირველ სართულზე მოთავსებულია წიოელი კუთხე, ფერმის ადმინისტრაციისა და ვეტერინარული კაბინეტები. მეორე სართული კი მწყემსებისა და მწველავების საცხოვრებელ ბინებს უჭირავს.

ლ. არსენიძე.

1. სიყვარული — გზად და ხიდად

საბჭოთა საქართველოს დღეები ლვოვის ოლქში

ნამს მოყვარე მოყვარისათვის თავი ჰირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად. — ეგნალური შოთას ეს სიტყვები გახდა დევიზი საქართველოს დღეებისა, რაც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მზადებასთან დაკავშირებით ახლახან გაიმართა უკრაინის ერთ-ერთი ულამაზესი მხარის — ლვოვის მიწაზე.

ურღვევი მეგობრობა და ძმობა, საერთო მისწრაფებანი და საქმენი ეკავშირებით უკრაინელ ხალხსა და ქართველ ხალხს. უკრაინისა და საქართველოს, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ერთობითა და თანამეგობრობით მკაფიოდ გამოვლინდა კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება. ძმობის უდიდესმა ძალამ ღირსეულად გაუძღო ყველა განსაცდელს, იგი ფოროთოდად და მტკიცედმოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. ეს ძმობა და მეგობრობა განაგრძეს და განავითარეს ჭიათურელმა და ნიკოპოლელმა მაღაროელებმა, რუსთაველმა და დონბასელმა მტაცალურგებმა, მახარაძელმა და გენინჩესკელმა კოლმეურნეებმა.

ხალხთა შორის ძმური ურთიერთობის კიდევ ერთი მაგალითი დადასტურებაა მოკავშირე რესპუბლიკების დღეები. სსრ კავშირის შექმნის საიუბილეო წლის გაზაფხულზე ლენინის ორდენოსანი ლვოვის ოლქის მშრომელები ისე შეგვხვდნენ, როგორც უძვირფასეს სტუმრებს. საბჭოთა საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვალერიან ბახტაძე, გენერალ-მაიორი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ივანე ბაბალაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ სერგი სერებრიაკოვი, თბილისის პიდრო-მეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის მოწინავე ხარატი ჯემალ ნიკოლაიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

ლვოვის უძველეს მიწაწყალზე ჩასვლისთანავე ჩვენ ვიგრძენით უკრაინელთა გულითადი სტუმართმოყვარეობა და გულუხვობა. ჭალაკში მზიანი ამინდი იდგა, გაზაფხულის სილამაზეს შერევია ტრანსპარანტების სიზეიმო ფერები, რომელებზეც უკრაინულ და ქართულ ენებზე წარწერილია მისასალმებელი სიტყვები.

საოლქო გაზეთებმა ორ-ორი გვერდი მიუძღვნეს საბჭოთა საქართველოს, ორი მოძმე ხალხის ურთიერთობას. რადიოთი, ტელევიზიით გადაცემულ იქნა ინფორმაციები საქართველოს დღეებს დაწყების შესახებ, აგრეთვე ქართული ხალხური და კლასიკური მუსიკის კონცერტები.

დიდი ინტერესით ვეცნობით ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ყველგან, სადაც კი მივდიოართ, ლვოველთა ღიმილი და კეთილი სალამი გვხვდება. „ლასკოფო პროსიმო, შენოვნე ბრატი", — გვეუბნებიან სასეგგარწყინებელი მასპინძლები. დიდებულია ლვოვის ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები, დიდების ბორცვზე მარადიული ცეცხლი ანთია. ლვოვის განმათავისუფლებელი მეომრების ძმათა სასაფლაოზე სხვა მოძმე ერების წარმომადგენლებთან ერთად რაინდული ეილიით განისვენებენ გვარდიის პოლკოვნიკები ი. ქანთარია, და ს. მაღრაძე, რომელთა შენაერთებმა სამაგალითო გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს უკრაინის მიწაწყალზე. გმირთა საფლავებზე ხვავდება ყვავილების კონები.

ლვოვის ოლქის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაზე გვესაუბრა უკრაინის კომპარტიის ლვოვის სალოქო კომიტეტის მდივანი ბ. ბადალკა და მშრომელთა დეპუტატების ლვოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე თ. მარტინოვი.

ბუღალტერ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა ლვოვის ავტობუსების ქარხნის კოლექტივთან შეხვედრამ. ამ ქარხნის მარკის ავტობუსები ცნობილია მთელ ჩვენს ქვეყანაში. მეცხრე ხუთწლედში ქარხანამ 1,5-ჯერ უნდა გააფართოოს პროდუქციის გამოშვება, ამასთანავე ავტობუსი უფრო კომფორტაბელური და მძლავრი გახდება.

თავიგულებითა და გულთბილი სალამით შემოგვეგება ლვოვის იზოლატორების ქარხნის კოლექტივი. ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. პროსკურინმა გვიამბო, რომ ქარხანა სულ ორი წელია ჩაგდა მწყობრში. მას დიდი პერსპექტივები აქვს, რადგან ქარხნის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიოს მრავალ სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყანაში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იზოლატორებს, რომლებიც აქ მზადდება, მაღალი ძაბვის ელექტროგადაცემებისათვის, ფაიფურის ნაცვლად მინისაგან ამზადებენ, ეს კი საშუალებას იძლევა მეტი ფაიფური გამოვიყენოთ ჭურჭლისა და ფარფორ მოსმარების სხვა საგნების დასამზადებლად. ქარხანაში გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდა გენერალ-მაიორი ი. ბაბალაშვილი. ... ბატონ ... ...

ამიერკავკასიის ჩანაფიქრი

ერთიანი

ალნიშნავენ რა სკკპ XXIV ყრილობის პირველ წლისთავს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, პრესა ხაზს უსვამენ, რომ წარმატებით ორგანიზებულმა საბჭოთა მშვიდობის პროგრამა, რომელიც ყრილობაზე ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ბევრ კომენტარში აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე.

ბერლინი. სოციალისტური თანამეგობრობა ახლა ჯანმთელობის ახალ ეტაპზეა, აღნიშნა ჯერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ჰერმან აქსენმა ყოველკვირეულ „ორიენტაციაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში.

სოციალიზმის ქვეყნების ურთიერთობას საფუძველად უდევს სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, რომელიც ახლა, უფრო ღრმა შინაარსს — კლასობრივ შინაარსს — მატებს თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ზოგადემოკრატიულ პრინციპებს. ჰ. აქსენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ XXIV ყრილობამ და სხვა მოძმე პარტიათა ყრილობებმა დაადასტურეს მათი ერთიანობა იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და თეორიულ საკითხებში.

სოფია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ განვლილი წელიწადი ისტორიაში შევიდა როგორც მშვიდობისა და პროგრესის ძალების დიდ გამარჯვებათა წელიწადი, განაცხადა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კოსტანტინ ტულაროვმა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის მშვიდობის პროგრამას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა და ერთსულოვნად მიიღო ყრილობამ.

ბუდაპეშტი. დრომ დაადასტურა სკკპ XXIV ყრილობის რეალიზმით გამსჭვალულ გადაწყვეტილებათა სასარგებლო. ეს ეხება საერთაშორისო ვითარების „მადიარ ჰირლაპი“.

გრანდიოზული საბჭოთა მშვიდობის პროგრამა, რომის აქტუალობა მას შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა, ფართო პერსპექტივებს სახავს. მარტო ერთ წელიწადში ამ პროგრამამ, რომელიც მშვიდობისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს კონკრეტულ ამოცანებს მოიცავს, დიდი წარმატებანი მოიტანა.

დელი. სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ განვლილი წელიწადი აღინიშნა საბჭოთა კავშირის, კაცობრიობის პროგრესისათვის ამ დაუცხრომელი მებრძოლის, საგარეო პოლიტიკის შესანიშნავი წარმატებებით, თქვა ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს მდივანმა ბპუბეშ გუპტამ.

ყრილობის მიერ შემუშავებულმა მშვიდობის პროგრამამ დიდი ზემოქმედება მოახდინა საერთაშორისო ვითარების განვითარებაზე, განამტკიცა მშვიდობის ძალები და მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი იმპერიალიზმის ძალების შესუსტებას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ ისტორიულ როლს, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეასრულა ინდოსტანის ამბაჯნანდელი ამბების დროს, როცა რაფუშა იმპერიალისტთა დანშაულებრივი გეგმები.

პარაპასი. ახლა, სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ წელიწადი რომ გავიდა, განსაკუთრებით საგრძნობი ხდება ამ ფორუმის გადაწყვეტილებათა ცხოველმყოფელობა, განაცხადა ვენესუელის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა დიპუტატმა ხოსე ერერა ოროპესამ მსოფლიოს ხალხები სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავს საყოველთაო მშვიდობის დაცვას. მშვიდობის საქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უანგარო ყოველმხრივ დახმარებას, რომელსაც სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები უწევენ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან განთავისუფლებისათვის ან უკვე გადამარჯვეს ამ ბრძოლაში.

რომი. სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში, თქვა იტალიის პროლეტარული ერთიანობის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა ლუჩიო ლუკატომ, მსოფლიოში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ისინი მოწმობენ, რომ ყრილობის მიერ დასახულ მშვიდობიან წინადადებებს, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს, სულ უფრო ფართად ეხმაურებიან ხალხები და სახელმწიფოები, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობის დამყარებას დედამიწაზე. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ევროპის კონტინენტს, სადაც უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის იდეას სულ უფრო მეტი გავრცელებით კიდებენ როგორც საზოგადო მოღვაწენი, ისევე საზოგადოებრივობა.

მშვიდობის საქმეში შეტანილი ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილი უწოდა ლ. ლუკატომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს სიტყვას საბჭოთა პროფკავშირების ყრილობაზე.

გამარჯვებათა წელი

სკკპ XXIV ყრილობის ერთი წლისთავის გამო

ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კონსტანტინე ტულაროვმა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის მშვიდობის პროგრამას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა და ერთსულოვნად მიიღო ყრილობამ.

ბუდაპეშტი. დრომ დაადასტურა სკკპ XXIV ყრილობის რეალიზმით გამსჭვალულ გადაწყვეტილებათა სასარგებლო. ეს ეხება საერთაშორისო ვითარების „მადიარ ჰირლაპი“.

გრანდიოზული საბჭოთა მშვიდობის პროგრამა, რომის აქტუალობა მას შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა, ფართო პერსპექტივებს სახავს. მარტო ერთ წელიწადში ამ პროგრამამ, რომელიც მშვიდობისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს კონკრეტულ ამოცანებს მოიცავს, დიდი წარმატებანი მოიტანა.

დელი. სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ განვლილი წელიწადი აღინიშნა საბჭოთა კავშირის, კაცობრიობის პროგრესისათვის ამ დაუცხრომელი მებრძოლის, საგარეო პოლიტიკის შესანიშნავი წარმატებებით, თქვა ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს მდივანმა ბპუბეშ გუპტამ.

ყრილობის მიერ შემუშავებულმა მშვიდობის პროგრამამ დიდი ზემოქმედება მოახდინა საერთაშორისო ვითარების განვითარებაზე, განამტკიცა მშვიდობის ძალები და მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი იმპერიალიზმის ძალების შესუსტებას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ ისტორიულ როლს, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეასრულა ინდოსტანის ამბაჯნანდელი ამბების დროს, როცა რაფუშა იმპერიალისტთა დანშაულებრივი გეგმები.

პარაპასი. ახლა, სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ წელიწადი რომ გავიდა, განსაკუთრებით საგრძნობი ხდება ამ ფორუმის გადაწყვეტილებათა ცხოველმყოფელობა, განაცხადა ვენესუელის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა დიპუტატმა ხოსე ერერა ოროპესამ მსოფლიოს ხალხები სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავს საყოველთაო მშვიდობის დაცვას. მშვიდობის საქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უანგარო ყოველმხრივ დახმარებას, რომელსაც სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები უწევენ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან განთავისუფლებისათვის ან უკვე გადამარჯვეს ამ ბრძოლაში.

რომი. სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში, თქვა იტალიის პროლეტარული ერთიანობის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა ლუჩიო ლუკატომ, მსოფლიოში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ისინი მოწმობენ, რომ ყრილობის მიერ დასახულ მშვიდობიან წინადადებებს, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს, სულ უფრო ფართად ეხმაურებიან ხალხები და სახელმწიფოები, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობის დამყარებას დედამიწაზე. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ევროპის კონტინენტს, სადაც უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის იდეას სულ უფრო მეტი გავრცელებით კიდებენ როგორც საზოგადო მოღვაწენი, ისევე საზოგადოებრივობა.

მშვიდობის საქმეში შეტანილი ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილი უწოდა ლ. ლუკატომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს სიტყვას საბჭოთა პროფკავშირების ყრილობაზე.

საბჭოთა ამიერკავკასიის ეროვნული ჩანაფიქრის განხორციელების გაგოფენა პრაღაში

პრაღა 1 აპრილი. (საკუთარი კორ.). პრაღის კრემლის მანეფში გაიხსნა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახვითი ხელოვნების გამოფენა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

გამოფენაზე ექსპონირებულია ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების თვალსაჩინო მხატვრების, მოქანდაკეების, გრაფიკოსების, გამოყენებითი ხელოვნების წარმომადგენელთა ნაწარმოებები. გამოფენის საზეიმო გახსნაზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ფოიტიკი, ჩეხიის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ნ. ბრუფეკი, საბჭოთა ამერკავკასიიდან ჩამოსული სტუმრები, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დიდმეგობრობის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ადრეთვე სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ხ. ვ. ჩერვონენკო.

გამოფენაზე ფართოდ წარმოდგენილია აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრები. ისინი ცხადყოფენ ამიერკავკასიის მხატვრების, მოქანდაკეების, გრაფიკოსების, გამოყენებითი ხელოვნების წარმომადგენელთა მაღალ ოსტატობასა და სიმწიფეს.

გამოფენის ყველაზე მკაფიო თემებია ლენინი და რევოლუცია. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის სახეა გამოკვეთილი სკულპტურულ პორტრეტებზე — ო. ბეჯანიანის „ვ. ი. ლენინი“, ი. ნიკოლაძის „ვ. ი. ლენინი — „ისკრის“ დამაარსებელი“, ი. ოჩიაურის პანოს „ახალგაზრდა ლენინელები“. ამიერკავკასიის ხალხთა მდიდარ რევოლუციურ ტრადიციებს გვაცნობენ ე. რზაკულიევის სურათი „რევოლუციური ბაქო“, კ. ეგიზარიანის ვობელენი „მე-11 წითელი არმიის შესვლა სომხეთში“, გ. თოიძის სურათი „რევოლუცია“ და მთელი რიგი სხვა ნამუშევრები.

გამოფენაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნამუშევრებს, რომელთა ავტორები ახალგაზრდები ამიერკავკასიის ადამიანის, დიდი გონებისა და ძლიერი ნებისყოფის მქონე პიროვნების სილამაზეს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა, შეიმქმედებითის შრომას. ასეთია მაგალითად, ცნობილი აზერბაიჯანელი სახალხო პოეტის რასულ რზას პორტრეტი, რომელიც მხატვარმა ტ. ხალიზოვმა შექმნა, მხატვარ ს. ბაბლუულ-ზადეს სკულპტურული პორტრეტი — ო. ელდაროვის ნამუშევარი, აკადემიკოს ი. კიტაიგოროდსკის სკულპტურული პორტრეტი, რომელიც ნ. ნიკოგოსიანს ეკუთვნის, ფ. ასიტაშვილის გრაფიკული ნამუშევარი სერიიდან „კომუნიზმის მშენებელი“, ე. ვორსლაძის სკულპტურული პორტრეტი, რომელიც თ. დვინაიშვილს ეკუთვნის.

გამოფენის დამთვალიერებელთა დიდ ყურადღებას იქცევენ საბჭოთა ჟივწერის ალსაკოსის ბ. ხარიანის ნამუშევრები — სურათები „სომხეთი“, „ჩემი ეზო“, „აკადემიკოს ა. თამანიანის პორტრეტი“, „ხილი და ბოსტნეული“.

სტუმრები დიდხანს ათვალიერებენ მხატვარ გ. გელოვანის სურათს „დიშილი ოჯახი“, მხატვარ ა. მელქონიანის სურათს „ოჯახი“, მხატვარ ხ. ქობულაძის გრაფიკულ ფურცლებს — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ი. ლოგინოვი.

ვოსამართლე: „თავხედობაა! მე ჯერ არ ბამომიჭამიხია მოწმეები!“

ნახატი გაზეთ „დეილი უორლდიდან“.

ხან-ხოსე

გრძელდება სასამართლო ფარსი

კალიფორნიის შტატი. 1 აპრილი. საკადესის სპეც. კორ. ე. ბასკაკოვი გვაცნობებს: პროცესზე ანჯელა დევისის „საქმის“ გამო დაიწყო „ბრალდების მოწმეთა“ ჩვენებების მოსმენა, რომელთა საფუძველზე პროკურორი ა. ჰარისი ცდილობს დაამტკიცოს, რომ „ნამდვილია“ უაზრო ბრალდება „მკვლელობაში მონაწილეობის“ შესახებ, რომელიც ამერიკელ კომუნისტს წაუყენეს.

როგორც ცნობილი, „მოწმეთა“ დიდი უმრავლესობა გამოძიების ფედერალური ბიუროსა და პოლიციის შტატის თანამშრომლები, ესე იგი, ფაქტიურად, ანჯელა დევისის წინააღმდეგ პოლიტიკური შეთქმულების მონაწილენი არიან. პირველი სამი მოწმის გამოკითხვის შედეგებმა ცხადყვეს, რომ უსაფუძვლოა ბრალდების მასალები.

ვერც ერთმა მოწმემ ვერ წაუყენა სასამართლოს იმის რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, რომ ანჯელა დევისს რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა „ქალაქ სან-რაფელში 1970 წლის 7 აგვისტოს მომხდარ ინციდენტთან“.

„28 მარტის კატასტროფა, — განაცხადა სახელმწიფო რკინიგზების მუშათა სრულიად იაპონიის პროფკავშირების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა კ. ტაიანმა, — ბირდაპირი შედეგია ზემაღალი სიხშირიდროვის გრაფიკისა, რომელიც ადმინისტრაციამ დააწესა. ინტერვალი ელექტრომატარებლებს შორის მხოლოდ 90 წამია. მოძრაობის გრაფიკი რომ შეინარჩუნონ, მაშინ ავტომატური გაჩერების სიხტემის გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენ არაერთხელ ვიძლეოდით გაფრთხილებას, რომ ასეთ პირობებში უბედურება მოხდება. მემანქანეზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეგავლენა გრაფიკის განუწყვეტელი ინტენსიურობის პირობებში კატასტროფიულად იზრდება. მაგრამ ადმინისტრაცია, მოგების მოღებისათვის ბრძოლაში, აბრაკიელებს შრომის „რაციონალიზაციას“: ამცირებს მემანქანეთა კადრებს და მკვეთრად ზრდის შრომის ინტენსიურობას.

პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის დეპუტატმა, კომუნისტმა ფ. ტასიოროომ მკვეთრად ვაკრიტიკა სახელმწიფო ტრანსპორტზე შექმნილი სიტუაცია. მან განაცხადა, რომ არ გამორიცხავს ახალ უფრო საშინელ კატასტროფა შესაძლებლობას, მანამდე, ვიდრე არ იქნება მიღებული ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. „ადმინისტრაცია და თვით მთავრობა, — ამბობს იგი, ზრუნავენ მონოპოლისტური საწარმოების ინტერესებისათვის და აძლიერებენ რკინიგზით ტვირთზიდვას. ახორციელებენ ეგრეთწოდებულ შრომის „რაციონალიზაციას“, თვალს ხუჭავენ, რომ ეს ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც საფრთხე ექმნება თვით ადამიანის სიცოცხლეს“.

კატასტროფის მეორე დღეს სახელმწიფო რკინიგზების მუშაკებმა დაიწყეს მორიგი ბრძოლა კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ, რომელიც იწვევს ათასობით რკინიგზელის დათხოვნას. თვის ბოლოსდე მატარებლები ივლიან უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით. რკინიგზელთა ბრძოლა პოულობს მხარდაჭერასა და გაგებას იაპონელ მშრომელთა შორის და მას ენერგიულად ეხმარებიან მუშათა კლასის სხვა რაზმები. („პრავდა“).

ლონდონი

ოლსტერი იგრძვის

1 აპრილი. (საკადესი). ბომბების აფეთქებითა და თოფის ხროლით აღინიშნა ბელფასტში ინგლისის ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრის უილიამ უოტლოუს ჩამოსვლა, რომლის განკარგულებაშიც გადადის ახლა პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად მთელი ძალაუფლება ოლსტერში.

ომაწში (ტირონის საგრაფო) ბომბის აფეთქების შედეგად სერიოზულად დაზიანდა ბრიტანეთის არმიის საინჟორმაციო ცენტრის შენობა. არიან დაჭრილები. მეორე აფეთქებამ დაანგრია სატელეფონო სადგური. 18 კაცი დაიჭრა ბომბის აფეთქების დროს ლისბურნში, სადაც განლაგებულია ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების შტაბი.

ლაოსის ხახალხო-განმათავისუფლებელი არმიის არტილერისტები ცეცხლს უშენენ მარიონეტული ჯარების კოზიციებს.

საკადესის ფოტოქრონიკა.

კარიზი

მ. შუმანის ინტერვიუ

1 აპრილი. (საკადესი). საფრანგეთი კვლავ მხარს უჭერს უმიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის განხორციელებას ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგების ინტერესებისათვის, განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მორის შუმანმა ინტერვიუში, რომელიც საფრანგეთის რადიომ გადმოსცა. მინისტრმა გაიფრთხილა ისრაელის ხელმძღვანელები, რომლებსაც „თავბრუ დაესხია ანექსიებმა“, და თქვა, რომ ისრაელი მომავალში ინანებს, თუ კვლავ ჯიუტად უარყოფს კონფლიქტის მოწესრიგების შესაძლებლობებს. მ. შუმანმა თქვა, დღემდე იმიტომ არ ჩავსულვარ ისრაელში, რომ ჯერ ერთი, ვგმობ ისრაელის პოლიტიკას, მეორეც — თავგზა აგვიბნია მოლაპარაკებამ, რომელიც ამას წინათ მქონდა ისრაელის წარმომადგენლებთან. მინისტრმა კმაყოფილება გამოთქვა იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს ახლო აღმოსავლეთში.

შეეხო რა ინდოჩინეთის მდგომარეობას, მ. შუმანმა აღნიშნა, რომ ამერიკის ინტერვენციამ ინდოჩინეთში სასურველი შედეგები არ მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს. მან თქვა, რომ შეხვდა ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირზე სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის მეთაურს ნგუენ თხი ბინს და სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ გაურკვეველი დროით შეწყდა პარიზის თათბირის მუშაობა. საფრანგეთი, აღნიშნა მინისტრმა, თავის მხრივ ხელს შეუწყობს პარიზის მოლაპარაკების განახლებას, რომელიც, როგორც ცნობილია, შეწყდა ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით.

შეეხო რა ევროპის პრობლემებს, მ. შუმანმა განაცხადა, რომ საფრანგეთი იცავს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კონფედერალური ორგანიზაციის პრინციპს. მან მსმენელებს აგრძნობინა, საფრანგეთი იმის წინააღმდეგია, რომ გაძლიერდეს ევროპის გაერთიანებათა კომისიის პოლიტიკური როლი, რომელსაც, როგორც მან თქვა, არ შეუძლია იკისროს „საერთო ბაზრის“ ქვეყნების მთავრობათა ფუნქციები.

ლონდონი

ოლსტერი იგრძვის

1 აპრილი. (საკადესი). ბომბების აფეთქებითა და თოფის ხროლით აღინიშნა ბელფასტში ინგლისის ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრის უილიამ უოტლოუს ჩამოსვლა, რომლის განკარგულებაშიც გადადის ახლა პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად მთელი ძალაუფლება ოლსტერში.

ომაწში (ტირონის საგრაფო) ბომბის აფეთქების შედეგად სერიოზულად დაზიანდა ბრიტანეთის არმიის საინფორმაციო ცენტრის შენობა. არიან დაჭრილები. მეორე აფეთქებამ დაანგრია სატელეფონო სადგური. 18 კაცი დაიჭრა ბომბის აფეთქების დროს ლისბურნში, სადაც განლაგებულია ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების შტაბი.

კატასტროფა რკინიგზაზე

- მატარებლების შეჯახება
- დაშავდა 712 კაცი

ტოკიოს მახლობლად, სადგურ ფუნაბასიში 28 მარტს მოხდა ომის შემდგომი წლების ერთ-ერთი უდიდესი სარკინიგზო კატასტროფა. დილის „პიკის“ საათებში გადატვირთული სამგზავრო მატარებელი დაეჯახა სადგურში მდგარ ელექტრომატარებელს. ორი მატარებლის შეჯახების შედეგად, რომლებშიც 6 ათასამდე მგზავრი იყო, 712 კაცი დასახიჩრდა და დაიჭრა, ათობით მგზავრი მძიმე მდგომარეობაში გაანაწილეს ახლომდებარე ჰოსპიტლებსა და საავადმყოფოებში.

კატასტროფამ ფუნაბასიში კვლავ მიაპყრო ხაზოგადოებრიობის უურადღება იაპონიის ეკონომიკის უველაზე ვიწრო უბანს — ტრანსპორტს. გაზეთები, რადიო და ტელეკომენტატორები ახლა ცდილობენ პასუხი გასცენ კითხვაზე, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიუო და ვინ არის დამნაშავე. და თუმცა ზოგიერთნი, როგორც ხშირად ხდება ასეთ შემთხვევაში, ცდილობენ უველაფერი „მეიჩრეს“ — მემანქანეს გადააბრალონ, მეტწილ მიმომხილველებს მიაჩნიათ რომ მისი მიზეზები მოძრაობის ორგანიზაციას იმ სისტემაშია, რომელიც სუფევს სახელმწიფო რკინიგზებზე, ადმინისტრაციის სწრაფვაში მიიღოს „რაც შეიძლება მეტი მოგება.

1962 წლის ცნობილი კატასტროფის შემდეგ სადგურ მიკავანიმაში, რომლის მსხვერპლი 463 მგზავრი გახდა, სახელმწიფო რკინიგზების მატარებლებზე დააყენეს მატარებლების ავტომატურად გაჩერების ხელსაწყოები. მაგრამ გზების ადმინისტრაციამ მაშინვე გადაწყვიტა ტექნიკის „მოტაუუბა“, რადგან მატარებლების მოძრაობა მეტისმეტად ინტენსიურია. ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესების თანახმად მემანქანემ არ უნდა გაიჩეროს შემადგენლობა ყოველთვის. როცა ავტომატი ხათანადო ნიშნს იძლევა, არამედ შეანელოს სვლა და გაიჩეროს მატარებელი წითელ შუქნიშნამდე 50 მეტრის დაშორებით. მოძრაობის ამგვარმა „წესმა“ შესაძლებელი გახადა გაეიდიდებინათ გამტარუნარიანობა და ამდენად ადმინისტრაციის მოგებაც. მაგრამ ამ „წესმა“ ამავე დროს ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოების გარანტია და კატასტროფაც ამის დამადასტურებელია.

„28 მარტის კატასტროფა, — განაცხადა სახელმწიფო რკინიგზებს მუშათა სრულიად იაპონიის პროფკავშირების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა კ. ტაიანმა, — ბირდაპირი შედეგია ზემაღალი სიხშირიდროვის გრაფიკისა, რომელიც ადმინისტრაციამ დააწესა. ინტერვალი ელექტრომატარებლებს შორის მხოლოდ 90 წამია. მოძრაობის გრაფიკი რომ შეინარჩუნონ, მაშინ ავტომატური გაჩერების სიხტემის გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენ არაერთხელ ვიძლეოდით გაფრთხილებას, რომ ასეთ პირობებში უბედურება მოხდება. მემანქანეზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეგავლენა გრაფიკის განუწყვეტელი ინტენსიურობის პირობებში კატასტროფიულად იზრდება. მაგრამ ადმინისტრაცია, მოგების მოღებისათვის ბრძოლაში, აბრაკიელებს შრომის „რაციონალიზაციას“: ამცირებს მემანქანეთა კადრებს და მკვეთრად ზრდის შრომის ინტენსიურობას.

პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის დეპუტატმა, კომუნისტმა ფ. ტასიოროომ მკვეთრად ვაკრიტიკა სახელმწიფო ტრანსპორტზე შექმნილი სიტუაცია. მან განაცხადა, რომ არ გამორიცხავს ახალ უფრო საშინელ კატასტროფა შესაძლებლობა, მანამდე, ვიდრე არ იქნება მიღებული ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. „ადმინისტრაცია და თვით მთავრობა, — ამბობს იგი, ზრუნავენ მონოპოლისტური საწარმოების ინტერესებისათვის და აძლიერებენ რკინიგზით ტვირთზიდვას. ახორციელებენ ეგრეთწოდებულ შრომის „რაციონალიზაციას“, თვალს ხუჭავენ, რომ ეს ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც საფრთხე ექმნება თვით ადამიანის სიცოცხლეს“.

კატასტროფის მეორე დღეს სახელმწიფო რკინიგზების მუშაკებმა დაიწყეს მორიგი ბრძოლა კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ, რომელიც იწვევს ათასობით რკინიგზელის დათხოვნას. თვის ბოლოსდე მატარებლები ივლიან უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით. რკინიგზელთა ბრძოლა პოულობს მხარდაჭერასა და გაგებას იაპონელ მშრომელთა შორის და მას ენერგიულად ეხმარებიან მუშათა კლასის სხვა რაზმები. („პრავდა“).

ჯელხინკი

ფინეთის კომპარტიის XVI ყრილობა

1 აპრილი. (საკადესი). აქ მიმდინარეობს ფინეთის კომპარტიის XVI ყრილობა, რომელზეც ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა პარტიის თავმჯდომარემ ა. საარინენმა. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო ცხოვრებაში გრძელდება რევოლუციური ძალების დიადი ისტორიული ბრძოლა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ დელეგაციის მეთაურმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ა. პელშემ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ბერლინი

ოლსტერი იგრძვის

1 აპრილი. (საკადესი). ბომბების აფეთქებითა და თოფის ხროლით აღინიშნა ბელფასტში ინგლისის ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრის უილიამ უოტლოუს ჩამოსვლა, რომლის განკარგულებაშიც გადადის ახლა პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად მთელი ძალაუფლება ოლსტერში.

ომაწში (ტირონის საგრაფო) ბომბის აფეთქების შედეგად სერიოზულად დაზიანდა ბრიტანეთის არმიის საინფორმაციო ცენტრის შენობა. არიან დაჭრილები. მეორე აფეთქებამ დაანგრია სატელეფონო სადგური. 18 კაცი დაიჭრა ბომბის აფეთქების დროს ლისბურნში, სადაც განლაგებულია ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების შტაბი.

... ...

1 აპრილი. (საკადესი). ... ...

აკადემიკოს ა. ბ. ბარამიძის იუბილე

მეცნიერის განვლილი გზა

31 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს მწერალთა კავშირისა და თბილისის უნივერსიტეტის, გაერთიანებული საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის ა. ბარამიძის დაბადების 70 წლისთავს და საზოგადოებრივ-შრომითი და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა ი. ვეკუამ, რომელმაც გულთბილად მიულოცა იუბილარს.

მოხსენება „ა. ბარამიძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ გააკეთა თბილისის უნივერსიტეტის კათედრის გამგემ, პროფესორმა ღ. მენაბდემ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სახელით იუბილარს მიესალმა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შ. ძიძიგური.

საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა გ. ჯიბლაძემ მიულოცა იუბილარს და გადასცა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სიგელი.

უნივერსიტეტის პროორექტორმა პროფესორმა ს. ჯორბენაძემ წაიკითხა თბილისის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, რომ პროფესორი ა. ბარამიძე დაჯილდოდეს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამახსოვრო მედლით.

საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით ა. ბარამიძეს მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ბესო ჟღენტი.

ლანჩხუთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. ებრალიძე იუბილარს მიესალმა ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა სახელით, სადაც ა. ბარამიძე დაიბადა.

თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის კოლექტივის სახელით მიესალმა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ა. ურუშაძე.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივის მისასალმებელი ადრესი წაიკითხა ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, პროფესორმა გ. ციციშვილმა.

ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა იუბილარს გადასცა ინსტიტუტის კოლექტივის მისასალმება.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივის სახელით იუბილარს მიესალმა ინსტიტუტის რექტორი პროფესორი კ. მეძველია.

აკადემიკოსი ც. აკაიანი გულთბილად მიესალმა ა. ბარამიძეს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებისა და ამოვიანის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის სახელით.

აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიზამის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის კოლექტივის მისასალმებელი ადრესი წაიკითხა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა მ. გულიზადემ.

შემდეგ იუბილარს ქართულ ენაზე მიესალმა ნიზამის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი ა. ბარამიძის მოწაფე დილარა ალიევა.

იუბილარის ყოფილი ასპირანტი, ერევნის უნივერსიტეტის დოცენტი მ. ბაგურიანი მეცნიერს მიესალმა ამ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორების, მასწავლებლებისა და სტუდენტების სახელით.

გულთბილად მიესალმა იუბილარს ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსული სტუმარი, პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი ა. პოპოვა.

აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მეცნიერული საზოგადოებრიობის დავალებით იუბილარს მიესალმნენ აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი შ. სალაყაია, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, დოცენტი ა. ინაშვილი, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, დოცენტი ზ. ცხოვრებოვი.

პროფესორ ა. ბარამიძეს გულთბილად მეესალმნენ აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი ჯ. ნარკვანი, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსი ა. კალანდარაშვილი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ა. კობახიძე, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე პროფესორი ს. ჯიქია და სხვები.

დასასრულ ა. ბარამიძემ დიდი მადლობა გადაუხადა შეკრებილთ მილოცვისათვის და აღუთქვა, რომ კვლავაც არ დაიშურებს ძალ-ღონესა და ენერგიას მშობლიური მეცნიერების განვითარებისათვის. (საქინფორმი).

„სრული გაბრაზებულობა“ ჯამო

ბელგრადი, 31 მარტი. (საკ-დესი). ბორის სპასიჩისა და ამერიკელი რობერტ ფიშერის მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის ვერ მოეწყობა ბელგრადში წინათ გათვალისწინებულ ვადებში — 22 ივნისიდან 18 ივლისამდე. ეს 31 მარტს გამოაცხადა ტანიუგის საგენტომ. მატჩის პირველი ნახევარი უნდა გამართულიყო იუგოსლავიის დედაქალაქში, მაგრამ მისმა ორგანიზატორებმა უარი თქვეს თავიანთ პირვანდელ გეგმებზე იმის გამო, რომ „სრული გაურკვევლობაა“ შეხვედრის მოწყობის საკითხში. ასეთი მდგომარეობის მიზეზია ის, რომ საერთაშორისო ჭადრაკის ფედერაცია არ იძლევა რაიმე გარანტიას. მას 31 მარტს უნდა დაედასტურებინა, რომ „მხარეები დაიცავენ შეთანხმებას მატჩის ორგანიზაციის შესახებ, რომელიც დაიდო ამსტერდამში 20 მარტს“.

„ვინაიდან გროსმაისტერმა ფიშერმა უარი თქვა ეთამაშა ბელგრადში, აგრეთვე ედმონდსონს (ამერიკის შეერთებული შტატების ჭადრაკის ასოციაციის დირექტორს) წაართვა უფლება იყოს მისი ინტერესების წარმომადგენელი, — ნათქვამია დეპეშაში, რომელიც საერთაშორისო ჭადრაკის ფედერაციას გაუგზავნეს მატჩის იუგოსლავმა ორგანიზატორებმა, — მიგვაჩნია, რომ წინათ მიღწეული შეთანხმება არ გვაძლევს რაიმე გარანტიას, რომ მატჩი ნამდვილად გაიმართება. ამ პირობებში ვერ ვიკისრებთ ვალდებულებას, რომ მოვაწყობთ მატჩს გათვალისწინებულ ვადებში“.

ფეხბურთის ამბები

კანავი (საფრანგეთი) იუნიორ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირში ბრაზილიის გუნდმა დაამარცხა საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრები ანგარიშით 2:0.

ქალაქ ბელინცონაში სტარტი აიღო საერთაშორისო ტურნირმა ფეხბურთში ახალგაზრდულ კლუბებს შორის. ეს ასპარეზობა ოცდამეთორმეტჯერ ეწყობა. და მასში მონაწილეობს 8 ახალგაზრდული კლუბი. მოსკოვის ახალგაზრდულმა გუნდმა „ტორპედომ“ თავის გამოსვლა გამარჯვებით დაიწყო. საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0 სძლიეს ინგლისის „სტოკ სიტის“. ამავე ქვეჯგუფში გამოსულმა „ბარსელონამ“ დაამარცხა „ბელინცონა“ — 2:1, ხოლო მეორე ქვეჯგუფში — „სპარტაკ ლევსკომ“ ფრედ ითამაშა „ლოზანასთან“ — 0:0.

ლიდერობენ მეფლვაურები

თბილისში გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება წყალბურთში. გუშინ გათამართა მორიგი ტურის შესვედრები. ალმა-ატისა და კიევის „დინამოს“ გუნდების მატჩში წარმატება კიეველებს ხვდათ 6:5. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო კლუბისა და ლენინგრადის „ბალტიკის“ გუნდების მატჩში გაიმარჯვეს მეზღვაურებმა 9:5 და ლიდერობასაც ისინი ინარჩუნებენ. თბილისის დინამოელები გუშინ ისვენებდნენ.

ოლიმპიური პროგრამით

მიუნხენის ოლიმპიურ ასპარეზობამდე არც თუ დიდი დრო დარჩა. ამიტომ ჩვენი ქვეყნის პირადგუნდოური პირველობის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში, რომელიც 31 მარტს დაიწყო კიევში, წარმოადგენს არა მარტო ნაკრების კანდიდატთა შესარჩევ ასპარეზობას, არამედ ძალთა მთავარ შემოწმებას.

კიევის საკავშირო პირველობა რიცხვით ორმოცდამეხუთეა. მასში მონაწილეობს 150 აღიარებული ტანმოვარჯიშე ქალი და ვაჟი, არ არიან მხოლოდ ნ. დრონოვა და რ. სიხარულიძე. ასპარეზობის პროგრამა მაქსიმალურად მიახლოებულია ოლიმპიურ პროგრამასთან, ამაღლებულია მსჯავთა მოთხოვნები.

პირველად სავალდებულო პროგრამით გამოვიდნენ ტანმოვარჯიშე ქალები. პირად ჩათვლაში წინარიან დინამოელი სპორტსმენები ვიტებსკელი თ. ლაზაკოვიჩი და გროზნელი ლ. ტურიშჩევა. თვითონულმა მათგანმა 37,55 ქულა შეაგროვა. მესამე ადგილზეა ეორონეველი ო. ვორონინოვა („დინამო“, 37,35 ქულა).

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა ხელთ იგდეს დინამოელებმა, რომლებმაც 223,15 ქულა შეაგროვეს. „ბურევესტნიკის“ გუნდი 216,4 ქულით მეორე ადგილზეა. შეიარაღებულ ძალთა ტანმოვარჯიშელებს 216,15 ქულით მესამე ადგილი უპირავთ.

საავტომობილო კატასტროფის შედეგად

პარიზი, 31 მარტი. (საკდესაბ). დღეს საფრანგეთის ქალაქ გუვრეს მახლობლად საავტომობილო კატასტროფის დროს დაიღუპა ჭანა მაშკოვი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი ფიგურულ ცეკვაობაში, გრენობლის 1968 წლის ზამთრის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი. იგი ორმობილს, რომელშიც ჭანა მაშკოვი იყო, დაეჯახა სატვირთო მანქანა.

ექვსწლიანები სკოლაში

თბილისის საბურთალოს მასივის საირმის ქუჩის მაღლობზე, ნათელ კეთილმოწყობილ შენობაში მოთავსებულია საქართველოში პირველი რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლა.

აი უკვე ხუთი წელია ამ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დიდად საინტერესო შემოქმედებითს მუშაობას ეწევა სწავლებისა და აღზრდის ახალი გზების ძიებაში, ნერგავს მრავალ სიახლეს, რომელიც ექსპერიმენტის გზით არის შემოწმებული.

ჩვენ დავესწარით ამ სკოლის ყველაზე ნორჩი აღსაზრდელების — სპეციალური ექსპერიმენტული მოსამზადებელი ჯგუფის მოსწავლეთა გაკვეთილს, რომელსაც ატარებდა პედაგოგი მზია გვილავა.

ამ ჯგუფში თავმოყრილი ნორჩები გაიკვირვებენ ყველა გამოცდილ პედაგოგსაც. ისინი არათუ თავისუფლად კითხულობენ და ითვლიან, არამედ უკვე სწავლობენ გეომეტრიისა და გრამატიკის ელემენტებს, წერენ თხზულებებს.

თამაშს, რომელსაც თქვენ ხედავთ ქვემო სურათზე, ეწოდება „მფრინავი ოცეული“. ის ავითარებს აზროვნებას და გამოთვლის სისწრაფეს. მასწავლებელი აიგდებს ბურთს და ახახელებს რიცხვს. ნორჩმა მოსწავლემ, რომელიც დაიჭერს ბურთს, მასწავლებლის დასახელებულ რიცხვს სწრაფად უნდა მიუმატოს ისეთი რიცხვი, რომ ჯამში გამოვიდეს 20.

„ჯადოსნური ტომარა“ — ასე ეძახიან ექსპერიმენტული კლასის ნორჩები თამაშს, რომელიც ეხმარება მათ არითმეტიკის შესწავლაში. ზემო მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ როგორ ხსნის კახა ბუაძე, თუ რა ახასიათებს 9 რიცხვს.

ს. კილაძე.

ფოტო ა. ეტლერისა.

ჯანმრთელობის საფარაჯოზე

ჩიყვი და მასთან ბრძოლა

რევოლუციამდე ჩვენს ქვეყანაში იყო 5 მილიონამდე ჩიყვიანი, აქედან კი, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების მეოხებით, მოსახლეობის მასობრივი დაავადება სრულიად მოისპო.

როგორ და რატომ ვითარდება ჩიყვი? ფარისებრი ჯირკვლის უჯრედები იტაციებენ სისხლიდან იოდს, რომელიც ორგანიზმში ხვდება საჭმელთან, წყალთან და ჰაერთან ერთად. იოდი ხმარდება მისი ჰორმონების — ტიროქსინისა და ტრიიოდტირონინის წარმოქმნას, რომლებიც გავლენას ახდენენ ნერვული სისტემის განვითარებასა და მუშაობაზე, მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლაში. თუ ორგანიზმში არასაკმარისი რაოდენობით შედის იოდი, ფარისებრი ჯირკვალი იწყებს გადიდებას, მასში შეიძლება გაჩნდეს კვანძები. ამ არასასურველ მოვლენას ხელს უწყობს ცუდი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ინფექციური ფაქტორები და სხვ.

იოდი ბუნებაში თურმე არათანაბრად არის გავრცელებული. მაგალითად, იგი ძალიან ცოტაა. მაღალმთიან რაიონებში, ალპურ მდელოებზე, სადაც წყალი მყინვარული წარმოშობისაა. იგი ცოტაა ჰაერშიც, ნაადგაზიც, მცენარეებშიც, ცხოველთა ხორცშიც კი. ჩიყვი უვითარდებათ იმ თხებს, ცხვრებს, ცხენებსა და ძროხებს, რომლებიც ამ ადგილებში ძოვენ. გვხვდება იგი ქვეშიან ნაადგაზე, ტორფსარზე. გამოდის, რომ დაბლობებიც შესაძლებელია ორგანიზმის შიმშილი იოდის მხრივ, თუმცა ჰაერში ეს ელემენტი მეტია, ვიდრე მაღალ მთებში. ზღვის სანაპიროზე ჰაერის ქვედა ფენები, როგორც წესი, მეტად გაჯერებულია იოდით, რაც უფრო შორს არის ზღვა, მით უფრო ნაკლები რაოდენობით არის იგი ჰაერში — და ნაკლებებიც — წვიმაში, თოვლში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მეცნიერულ საჭმელთან ერთად ჩვენს ორგანიზმში შედის მთელი იოდის 60 პროცენტზე მეტი, ხორცთან — 30 პროცენტამდე, წყალთან და ჰაერთან — 10 პროცენტამდე, უფრო გასაგები გახდება, თუ როგორ იქმნება იოდის ბალანსი სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებში მცხოვრებ ადამიანებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირში გაიშალა ენდემური ჩიყვის ფართო კვლევა, გამოვლინებულ იქნა ამ დაავადების კერები და მიღებულია მასთან ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებული ზომები. ეს ღონისძიებანი წარმატებით დაგვირგვინდა — შეწყდა ჩიყვის მასობრივი გავრცელება, ხოლო მის „მიმქრალ“ კერებში წარმოებს დიდი საბინაო მშენებლობა, მოსახლეობის უზრუნველყოფა წყალსადენით, კანალიზაციით და სხვ. სოფლებში იქმნება ხელოსტანეულის ახალი მეურნეობები, ვითარდება მეცხოველეობა, რაც ხელს უწყობს ადამიანთა კვების რეჟიმის შეცვლას. უკვე ახეთი ზოგადი ზომები მკვეთრად აწიერებენ ჩიყვით დაავადებას, იოდის ბუნებრივი არასაკმარისობის მიუხედავად. მაგრამ, გარდა ამისა, სხვ კვეშირში მტკიცედ ხორციელდება მასობრივი პროფილაქტიკა იოდით. იგი ამაში მდგომარეობს, რომ იოდიანი მარილის გაყიდვასთან ერთად ყველა ბავშვს, აგრეთვე მეძუძურ დედებს და ორსულ ქალებს კვირაში ერთხელ აძლევენ იოდიან ტაბლეტებს „ანტისტრუმინს“. ეს, თურმე, სავსებით საკმარისია, რათა თავიდან ავიცილოთ დაავადება და ზეგავლენა მოვახდინოთ ფარისებრი ჯირკვლის გადიდების ადრეულ ფორმებზე. გარდა ამისა, ყველა რაიონში, სადაც ბუნებაში საკმარისად არ არის იოდი, მოსახლეობა მარაგდება იოდიანი სუფრის მარილით. ტონა ასეთი მარილი შეიცავს 25 მილიგრამ იოდიან კალიუმს ან ნატრიუმს. ამის მეოხებით ადამიანები და ცხოველები იღებენ იოდს ორგანიზმისათვის საჭირო რაოდენობით და ფარისებრ ჯირკვალს შეუძლია შეუფერხებლად გამომუშაოს სიცოცხლისათვის აუცილებელი თავისი ჰორმონები.

ბოლოს, ჩვენს ქვეყანაში ყველგან ხორციელდება ჩიყვის კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობა. წარმოებს აგრეთვე ჩარევა ჩვეულებრივ ადგილობრივი გაუმტკივნეულებით, სისხლის დაკარგვა უმნიშვნელოა, შედეგები საუკეთესო — არ არის არც გართულებანი, არც სიკვდილის შემთხვევები.

ჩიყვთან ბრძოლა ჩვენში აყვანილია სახელმწიფო მასშტაბის ამოცანათა დონეზე. ამ ბრძოლის წარმატებები დიდია, შემთხვევით როდი მიიღეს მათ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მადალი შეფასება.

ო. ნიკოლაევი,

რსფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ეჭვმარეებიან

საბჭოთა მეზღვაურები

რიბა, 31 მარტი. (საკდესის კორ. დ. გეფტერი). მარტის დამლევს რიგისაკენ მოდიოდნენ საბერძნეთის გემი ლიბერიის ალმით „ზინოან ჩიფი“, — და ნორეგეთის თბომავალი „საგა სვორდი“. „ზინოან ჩიფის“ ტრიუმებში იყო 16 ათასი ტონა შაქარი, ხოლო „საგა სვორდს“ მოჰქონდა 18,5 ათასი ტონა მარცვლეული.

ირბენის ყურეში შემოსასვლელთან, დაახლოებით თხუთმეტ მილზე ვენტსპილსის ჩრდილოეთით, თბომავლები მეჩეჩზე შეჩერდნენ. განსაკუთრებით სერიოზულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ნორეგეთის გემი, რომლის ფსკერი გაიხვრიტა და ორ ტრიუმში წყალი შეედინა.

გემების მეჩეჩზე დაჯდომისთანავე კოლკის კონცხის რაიონში მყოფმა საბჭოთა ყინულმჭრელმა „კაპიტანმა ბელოუსოვმა“ დახმარება მესთავაზა კაპიტანებს. მაგრამ მათ ეარი განაცხადეს და იმედოვნებდნენ საკუთარი ძალებით მოხსნილიყვნენ მეჩეჩიდან.

მაგრამ, როცა დარწმუნდნენ, რომ საკუთარი ძალებით ვერ შეძლებდნენ მეჩეჩიდან მოხსნას, ორივე გემის კაპიტნები დიდი დაგვიანებით დათანხმდნენ საბჭოთა მაშველების დახმარებაზე. შეიქმნა სპეციალური შტაბი გემების გადასარჩენად. უბედურების რაიონში განუწყვეტლივ მორიგეობდნენ მაშველი „კაპიტანი ფედოტოვი“ და ყინულმჭრელი „კაპიტანი ბელოუსოვი“, რომელიც მზად არიან, თუ საჭირო იქნება, ყოველ წუთში აიყვანონ გემებიდან ეკიპაჟები.

იქვე ჩავიდა ტალინიდან ყინულმჭრელი „იური ლისიანსკი“ და ახლა მიდის ყინულმჭრელი „სიმონ დეჟნევი“. ორული ოპერაცია უნდა განახორციელონ ნორეგეთის თბომავალზე, რომელთანაც რიგიდან მივიდნენ თბომავალი „სენა“ და „ალაბაევსკოელი“. საბჭოთა მეზღვაურები თავიანთ ბემებზე გადატვირთავენ მარცვლეულსა და შაქარს უბედურებაში ჩავარდნილი ხომალდებიდან, შემდეგ კი შეეცდებიან მოხსნან ისინი მეჩეჩიდან.

გადარჩენის სამუშაოებს ართულებს ავდარი ბალტიის ზღვაზე. აქ რვა-ცხრა ბალიანი შტორმი ბობოქრობს.

ი. ჟოკიაშვილის ნახატები.

საკვირველიც, სამწუხაროც...

ყვავილების ქვეყანა...

თეატრში პრემიერა იყო. მთავარი როლის შემსრულებელმა მეგობარ ოჯახს ბილეთები გაუგზავნა. ცოლქმარი წარმოდგენაზე წასასვლელ თადარიგს შეუდგნენ. მათთვის მსახიობს ახალი როლის შესრულებით ესთეტიკური სიამოვნება უნდა მიენიჭებინა და მათაც გადაწყვიტეს სცენაზე მიერთმიათ რამდენიმე ცალი მიხაკი ან ვარდი — პატივისცემის, სიყვარულისა და სილამაზის სიმბოლო.

კეთილმოწყობის სამმართველოს გამწვანების მეურნეობის ტრესტს თბილისში ყვავილის მაღაზიები ბლომად აქვს გახსნილი, მაგრამ ყვავილზე, რომ იტყვიან ვიწროთ არიან. პროსპექტზე ყვავილის მაღაზიის ვიტრინაზე მოზრდილი აბრაა გამოკრული — „იყიდება ვარდი და მიხაკი“. რაკი რეკლამით გთხოვენ შეიძინოთ ყვავილებიო, სათუოტროდ გაბრაზებული ცოლი და ქმარი გულდაჯერებული შევიდნენ მიხაკისა და ვარდის საყიდლად. მაღაზიაში შქერის, დაფნის, ხავსის, ხის გადაჭრილი კუნძებისა და თბილისის ქოთნებიანი ოთახის მცენარეების გარდა არაფერი ყვავილი არ ჩანდა.

— ვარდი ან მიხაკი თუ შეიძლება?

— არა გვაქვს, ბატონო,—თავაზიანად უპასუხა გამყიდველმა.

— კი მაგრამ ვიტრინაზე გამოკრულ აბრაზე რომ წერია,— გვაქვს და იყიდებაო?

— ჩვენ ორ დღეში ერთხელ 100 ცალ მიხაკს ვიღებთ. რაც შეეხება ვარდს, მაგისთვის კი ხანია თვალი არ მომიკრავს, თბილისში ჩვენისთანა ათი მაღაზიაა და ყოველდღიურად ყველა ამ მაღაზიის ოცი ცალი ვარდი რას გასწვდება?

— როგორ, კაცო, ასე ცოტას რომ გაძლევენ ოთახში მოჰყავთ?

— არა ბატონო, დიღმის საბაზისო სანერგე 45 ჰექტარზეა გადაჭიმული და ის „გვამარაგებს“.

ცოლი და ქმარი სწრაფად გამოვიდნენ ყვავილების მაღაზიიდან და დახურული ბაზრისაკენ გაუყვნენ. იქ სულო და გულო რა ფერის, რა ჯიშის ვარდს, მიხაკსა და ათასი სახელწოდების სურნელოვან ნაზ ყვავილს არ იშოვნი, მამასისხლად რომ ჰყიდიან წაკისელები ოთარ გიგილოს-ძე გვარაძე, სერგო ივანეს-ძე დორეული, ორბეთელი რევაზ ილიას-ძე ბექაური და ძმანნი მისნი. მათ არც ყვავილების სათბურები აქვთ, არც ყვავილების ბაღები, არც მათი მოვლა უყვართ. მაგრამ საკვირველიც არის და სამწუხაროც, რომ ყვავილები არ აკლიათ...

თქვეს და ააშენეს...

თქვეს და ააშენეს ქალაქი იმ ადგილას, სადაც საუკუნეების წინათ ჩვენს წინაპრებს ბოსტანქალაქი ჰქონდათ, და მას რუსთაველი დაარქვეს... თქვეს და ააშენეს ამ ქალაქში ძრავალი ფაბრიკა-ქარხანა, საცხოვრებელი სახლი, კულტურის სასახლე, კინოთეატრი, სტადიონი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი... თქვეს და ააშენეს რუსთაველის სასადილოებისა და რესტორნების ტრესტის მესვეურებმა ძრავალი მუშათა სასადილო, კაფე, რესტორანი. ნთლიანებმა ყველა მოხეტიალეს და ერთ რესტორანს „მტკვარზე“ დაარქვეს. იგი მართლაც მდინარეზეა შესული და მტკვრის ტალღები კედლებს ეხეთქებიან.

შეხვალთ რესტორნის ეზოში და ჩვეულებრივი მინა-ბეტონის შენობა დგას. შენობაში კუპეები, ბუფეტი და სამზარეულო. ბუფეტში „მოიციოიე“ წლის მთასაეთ ვაკი ტრიალებს. ცოდვაა ასეთი ვაჟკაცი მებუფეტედ ცდებოდეს, ძალა არა აქვს თუ მოხერხება აკლია. მიეცი ხელში ოროყიანი თოხი და დღეში სამ ქცევა ყანას გათოხნის, ახლა ამ დალეცილს აუფარებია დალექული ხალათი, ტანზე სიგიწრივის გამო რომ ასკდება, და მკავეს, წიწაკას, ნიგეზით შეკმაზულ კიტრებს, კაკალ ლობიოს, ნადიულს, მწვანილს გვლოგიასავით თეფშებზე ანაწილებს, ოფიციანტებს აძლევს და თან საანგარიშოს აჩხაკუნებს.

თქვეს და ააშენეს რესტორნის ეზოში რკინაბეტონის ლაბირინთები. ჩაყვებით კიბეებს, ჩახვალთ ათი მეტრის ქვეგით და ზოგაპარში გეგონებათ თავი, ისევ ამ ლაბირინთის კუპეები განლაგებული.

— ერთი ღვინის სასმისი მომიტანე!

— ღვინოს ჩვენთან ამით სვამენ, — მიგვითითებს ოფიციანტი ჩაის ჭიქაზე, ბოთლში სამი რომ გამოდის.

— ნამტანი დიდია.

— პატარა ჭიქებით ტყემლის, პამიდორისა და ნიგოზის საწებელს მოგაერთმევთ.

— ისინი მოიტანე ღვინისათვის.

— არ გვყოფნისო, ასე გვითხრა რესტორნის დირექტორმა ვალიკო მარსაგიშვილმა.

— დუნიკინის დროინდელი ეს დაკანონული და კიდეჩამტეხილი თეფშებში მაინც გამოგეცალა.

— სხვა არ გვაქვს, ბატონო, და ასე იოლად გაედინარო.

ნუთუ, ერთხელ მაინც არ შეუვლია ამ რესტორანში რუსთაველს სასადილოებისა და რესტორნების ტრესტის დირექტორს მიხეილ ფოცხვერიას და არ შეუნიშნავს კათხისოდენა ჩაის ჭიქები და კიდეჩამტეხილი დაკანონული თეფშები?

ბ. ბახტურიძე.

შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

შეკითხვა: მოქალაქეს შეუძლია თუ არა არასრულწლოვანი შვილიშვილი შვილად აიყვანოს?

მ. ლომოური.

ყვარელი.

პასუხი: ყოველ სრულწლოვან, ქმედუნარიან მოქალაქეს უფლება აქვს არასრულწლოვანი ბავშვები, მათ შორის შვილიშვილი, აიყვანოს შვილად.

შვილად აყვანის საკითხს წყვეტს მშრომელთა დეპუტატების რაიონული. (სოფლისა) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არასრულწლოვან ბავშვთა აღზრდის ინტერესების გათვალისწინებით.

შეკითხვა: გარდაცვალებული მოქალაქის პირადი საკუთრების ქონება, მათ შორის მზითევი და ჩუქების წესით მიღებული, ვის შეიძლება გადაეცეს მემკვიდრეობის წესით, თუ მას შვილები არ დარჩენია?

თ. დავითიანი.

მესტია.

პასუხი: გარდაცვლილი მოქალაქის პირადი საკუთრების ქონებას (მზითევი, ჩუქების ან მემკვიდრეობის წესით მიღებული ქონება) მემკვიდრეობის წესით თანასწორ წილად იღებენ მეუღლე, შვილები და კმაყოფაზე მყოფი პირები.

თუ აღნიშნული პირები არ არიან, ქონებას მიიღებენ გარდაცვლილის დები, ძმები, ბებია, პაპა და კმაყოფაზე მყოფი პირები.

თბილისის სასეზლეფფიფო ცირკი

3 აპრილს 15 საათზე

აწყობს დიდ საშეფო წარმოდგენას საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — პოლიტიკური და სამხედრო მომზადების წარჩინებულთა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის. მოწვეულია 2000 კაცი. მოწვეულთ წარმოდგენას აჩვენებენ ბულგარულ ცირკ „სოფიის“ მსახიობები.

წარმოდგენა დაიწყება საზეიმო ნაწილით — ბულგარელ მსახიობთა პარადით და მისასალმებელი სიტყვებით.

საზეიმო ნაწილის დამთავრების შემდეგ გაიმართება ბულგარეთის სახელმწიფო ცირკის წარმოდგენა ორ განყოფილებად.

თბილისის სახცირკის დირექცია.

დისერტაციების დაცვა

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის 10, III სართული, საჩქარო დარბაზი).

18 აპრილს დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მერაბ ალექსანდრეს-ძე კვიტაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ორტოპედიოროზის რენტგენოლოგიური სიმპტომატოლოგიის შეფასება კლინიკური და სექციური გამოკვლევების მიხედვით“.

20 აპრილს დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ბედეშან პეტრეს-ძე ბელბასინი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ღვიძლის მორფო-ფუნქციური მდგომარეობა თირკმლის უკმარობის დროს“.

25 აპრილს დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **სიმონ კონსტანტინეს-ძე ჯაფარიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ქრონიული დიზენტერიის, ამებიაზის, ხალმონელოზის, არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტის და სწორი ნაწლავის კიბოს კლინიკა, დიაგნოსტიკა და პათოგენეზის საკითხები“.

დისერტაციების გაცნობა შეძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

8 აპრილი

პირველი პროგრამით

17.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.00 — ბავშვებისათვის „პიონერია მარშზე“ (გადაცემა თბილისიდან „ცენტრალური ტელევიზიისათვის“), 18.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „ცეროდნასა ეკრანი“, 18.50 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 19.25 — „ჩვენი სტუმრები“, 19.40 — „სსრკ-50“ — „საქართველოს თაკისუფალ ერთა ძმურ ოჯახში“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში „დინამო“ თბილისი — „ბალტიკა“ ლენინგრადი, 21.20 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი, 20.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები მუადღისას ქრებიან“ (მეოთხე სერია), 23.45 — „გასტროლების წინ“.

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად ბიოლოგია მერვე კლასელთათვის „ზურგის ტვინის აგებულება და ფუნქციები“), 19.05 — სკოლების დასახმარებლად „შრომითი პოლიტექნიკური სწავლება (ზოგადი ცნობები ტექნოლოგიის შესახებ), 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ქიმიაში, 20.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში, 21.40 — მხატვრული ფილმი „დაგვიბრუნდი მზესთან